საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-09/488

31 ოქტომბერი, 2011 წ **ქ. ბათუმი**

რსუ–ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის

ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადის გახანგრძლივების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №55 დადგენილებით დამტკიცებული „რსუ–ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“ მე-3 მუხლის, ,,შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011–2012 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ“ რსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 13 ივნისის №77 დადგენილების, ,,სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ რსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის №02 გადაწყვეტილების, რსუ-ს საფინანსო–ეკონომიკური დეპარტამენტისა და ფაკულტეტების დეკანატების მონაცემების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. რსუ–ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს **ათი დღის ვადით – 2011 წლის 3 ნოემბრის ჩათვლით გაუხანგრძლივდეთ** **რსუ–ში** ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52)

3. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე;

რექტორი, პროფესორი **ა. ბაკურიძე**